ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი N36

სხდომის ჩატარების თარიღი და დრო: 2025 წლის 28 აპრილი, 14:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის

შენობა, სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზ.N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას N36 -ს უძღვება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე .

ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა წევრები: ამირან კოპალეიშვილი, გია ბასილაძე, პაატა ლილუაშვილი, მარეხი ნიჟარაძე, მაია სიმონიძე, მერაბ ჭოხონელიძე, ირაკლი შენგელია, ზაქრო მამასახლისი,

სულ : 15 წევრიდან-9 წევრი.

არ ესწრებოდა: დავით ბახტაძე, კობა გურული, გიორგი კილაძე, ელეონორა არჩაია, გაგა მანაგაძე, რომან ქვაჩაკიძე, ნონა ქანრია.

სულ: 7 წევრი

ესწრებოდნენ :

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ი. უგულავა,** მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი **დ. ჭეიშვილი,** ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" დირექტორი **თ. არსენიძე,** შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" **დირექტორი ი.** ცხვედიანი, ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი **დ. წიტაიშვილი, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში დასაქმებული მერის წარმომადგენლები.**

სხდომა გასხნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძე. მან აღნიშნა: მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ

საფინასო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1. მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის პირველ კვარტალში დასაფინანსებელი ღონისძიებებისა შესახებ;

მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი დავით ჭეიშვილი

2. ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" მიერ მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ;

ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" დირექტორი თენგო არსენიძე

3. შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ;

შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი ირაკლი ცხვედიანი

4. ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ;

ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დავით წიტაიშვილი

5. მიმდინარე საკითხები

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა კომისიის თავმჯდომარემ ბ. მახარაძე : დღეს ჩვენ ვატარებთ სხდომას, რომელიც ეძღვნება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და იურიდიული პირების განხორციელებული საქმიანობის კვარტლურ

ანგარიშებს. დღის წესრიგის თანახმად მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის პირველ კვარტალში დასაფინანსებელი ღონისძიებებისა შესახებ ინფორმაციას წარმოგვიდგენ ბატონი დ. ჭეიშვილი.

მოისმინეს: „მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის, ბატონი **დ. ჭეიშვილის: „ მოგესალმებით,** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა 2024 წელს მუნიციპალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების შესრულების მიზნით, კერძოდ:

გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაციის, მშენებლობისა და მოვლა – პატრონობის საბიუჯეტო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულებულია:

ი. ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარების რეაბილიტაცია და მოაჯირების მოწყობა (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება); პეტრიწის ქუჩის მეორე შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ავალიანის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); კოსტავას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ლესელიძის ქუჩაზე, ჯომარდობის გამშვებ პუნქტთან მისასვლელი გზის მოწყობა. (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება);

"გოჭოურას" სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრთან მისასვლელი (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ონის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); შერვაშიძის ქუჩაზე საბავშო ბაღთან მისასვლელი გზის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); კლდიშვილის ქუჩის ბოლო მონეკვეთის გზის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ჩანჩიბაძის და ქეთევან წამებულის ქუჩების

დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); გურიელის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ტყიბულის ქუჩის მე-VI ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ახალგაზრდობის მეშვიდე შესახვევის ბოლო მონაკვეთი საგზაო ინფგრასტრუქტურა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); მწვანე ყვავილას ქუჩის №188, 188ა,192ა და 192ბ-ს მიმდებარედ გზის რეაბილიტაცია;

ივ.ჯავახიშვილის ქუჩის №73-თან მისასვლელი გზის მშენებლობა; კ. გამსახურდიას ქუჩის მე-18 შესახვევის გზის რებილიტაცია; შერვაშიძის ქუჩა №55-თან (დევნილთა დასახლება) მისასვლელი გზის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ირ. აბაშიძის გამზირის №33-თან (კარიტასი) მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); შავგულიძის ქუჩის (ხიდიდან დასახლებამდე) მონაკვეთის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება);

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეკეთების პროგრამის ფარგლებში დასრულდა ასფალტის, ბეტონის საფარის, გრანიტისა და დეკორატიული ფილების საფარის შეკეთების სამუშაოები.

დაიწყო 2024 წელს და დასრულებდა 2025 წელს შემდეგი ობიექტები:

ვაჟა-ფშაველას ქუჩის №2-დან №14-ის ჩათვლით გზის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); დავით და კონსტანტინეს ქუჩის პირველი შესახვევის გზის და კედელი რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); №35-ე სკოლასთან მისასვლელი გზის მშენებლობა. (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); მესხიშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება).

სანიაღვრე სისტემების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულებულია:

ცახელის ქუჩის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; ვაჟა-ფშაველას ქუჩის №116ა-ში მდებარე ბუნებრივი სასულეს რეაბილიტაცია;დ. ყიფიანის ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; ბორის ბუკიას ქუჩის №34 და №36 ნომრების წინ სანიაღვრე სისტემის მოწყობა; კოლხეთის ქუჩის ღვარსადენის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევში სანიაღვრე ქსელის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ლესელიძის ქუჩის №78-თან სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ბესიკის ქუჩის პირველი შესახვევის ღვსარდაენისა და გზის რეაბილიტაცია.

დაიწყო 2024 წელს და დასრულებდა 2025 წელს შემდეგი ობიოექტები:

ნიკო მუსხელიშვილის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხის კალაპოტის, არხის გასწვრივ ტროტუარაისა და გამწვანების მოწყობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება);

ასევე დასრულდა ბუნებრივი სასულეების ექსპლოატაცია, სადაც პერიოდულად ხდებოდა ბუნებრივი სასულეების ყელის გაწმენდა და რეაბილიტაცია

საყრდენი კედლების მშენებლობა – რეაბილიტაციის პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:

პროექტის ფრაგლებში დასრულებულია:

რუსთაველის გამზირი №24-ის მიმდებარე საყრდენი კედლისა და კიბის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება); რუსთაველის გამზირი №10-ის მიმდებარედ საყრდენი კედლისა და რეკრეაციული სივრცის რეაბილიტაცია; გორკის ქუჩის №18-თან საყრდენი კედლის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება);

დაიწყო 2024 წელს და დასრულებდა 2025 წელს შემდეგი ობიოექტები:

მაჭავარიანის №7 საყრდენი კედლის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 30.05.2024 წლის №746 განკარგულება); პეტრიწის №14 საყრდენი კედლის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); თომაშვილის ქუჩის №16-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა; ევდოშვილის ქუჩის პირველი ჩიხის №3-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ნეკრასოვის ქუჩის №12-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება);

გამწვანებისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები:

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:

ბუხაიძის ქუჩაზე (ს/კ 03.04.21.292), ბუხაიძის ქუჩის მეორე შესახვევში (ს/კ 03.01.22.331) (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ნიკეას ქუჩის II შესახვევი №3-7ა (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ნიკეას ქუჩის II შესახვევი №6-ის (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); თაბუკაშვილის ქუჩის №223 მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ნიკეას ქუჩის №34-38 მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ნიკეას ქუჩის №66 მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); დადიანის ქუჩაზე (არხის გასწვრივ) სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); თაბუკაშვილის ქუჩის №34-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია; მაისურაძის ქუჩის №15-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;

დაიწყო 2024 წელს და დასრულებდა 2025 წელს შემდეგი ობიოექტები:

ავტოქარხნის სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება);

დასრულდა ქალაქის გამწვანება, მოვლა–პატრონობა და ექსპლატაციის სამუშაოები.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები:

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:

ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის №18 ფილიალის რეაბილიტაცია; ცენტრალური სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია; დავით კაკაბაძის სამხატვრო გალერეაში საგამოფენო დარბაზის რებილიტაცია;

დაიწყო 2024 წელს და დასრულებდა 2025 წელს შემდეგი ობიოექტები:

ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება);

ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია:

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის („ოქროს ჩარდახი") რესტავრაცია-რეაბილიტაცია;

დაიწყო 2024 წელში და დასრულებდა 2025 წელში შემდეგი ობიოექტები:

ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება); ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურისთვის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) ეზოსა, საინჟინრო ქსელებისა და აგრეგატების მოწყობა; „საფიჩხიის" ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება).

მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია:

პროექტის ფარგლებში დასლებულია:

შოთა რუსთაველის გამზირის №96 ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება); ივანე ჯავახიშვილის ქუჩის №1 და №2 სახლების ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება); რუსთაველის გამზირის №24 სახლის ფასადისა და მიმდებარე

ტერიტორიის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება); ასათიანის ქუჩის №139 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება); ასათიანის ქუჩის №94 ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29.12.2022 წლის №2475 განკარგულება); ასათიანის ქუჩის №94 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); შოთა რუსთაველის გამზირის №27 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №1 და №3-ში დაზიანებული ფასადის (ცოკოლის) რეაბილიტაცია; ირ.აბაშიძის გამზირის №10 მრავალსართულიანი სახლის სტიქიის შედეგად დაზანებული ფასადის ფრაგმენტის რეაბილიატცია; ზ. გამსახურდიას №38 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია; სულხან-საბას გამზირი №81 მრავალსართულიანი სახლის კედლებს შორის შოვების აღდგენა; ნიკეას ქუჩის მეორე შესახვევის №19 მრავალსართულიანი სახლის კედლებს შორის არსებული დაზიანებული ნალესის სადემონტაჟო და შემდგომ სარეაბილიტაციო სამუშაოები; შოთა რუსთაველის გამზირის №108 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); შოთა რუსთაველის გამზირის №116-118 მრავალსართულიანი სახლის ფასადების რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); რუსთაველის გამზრის №95-97-98 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); ზ. გამსახურდიას გამზირის №17 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება);

სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება:

პროექტის ფარგლებში დასლებულია:

გაფრინდაშვილის ქუჩის მეორე ჩიხის საგზაო (საქართველოს მთავრობის 20.01.2023 წლის №116 განკარგულება); წყალტუბოს ქუჩიდან „გოჭოურას" სასაფლაოსკენ მისასვლელისა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის №3-ის მიმდებარედ ეროზიული ფერდების

დამაგრების ღონისძიებების განხორციელება (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2400 განკარგულება)

დაიწყო 2024 წელს და დასრულებდა 2025 წელს შემდეგი ობიოექტები:

გაბაშვილის გორაზე, კიკვიძის ქუჩასა და რუას ქუჩებზე სტიქიის შედეგად განვითარებული ეროზიული პროცესების მართვისა და სტაბილიზაციის მიზნით (პროექტირებ-მშენებლობის) სამუშები (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2400 განკარგულება); მდ. ოღასკურას კალაპოტის რეკონსტრუქცია რეაბილიტაცია (მესამე მონაკვეთი) (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2400 განკარგულება)

სხვადასხვა სახეობის სპორტულ – გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა – რეაბილიტაცია – ექსპლოატაცია:

პროექტის ფარგლებში დასლებულია:

ხარებავას ქუჩის №52 -ში მდებარე სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება); კ. გამსახურდიას ქ. №65-ში მდებარე რაგბის სკოლის სახურავის რეაბილიტაცია.

დაიწყო 2024 წელს და დასრულებდა 2025 წელს შემდეგი ობიოექტები:

№17 სპორტული სკოლის კრივის დარბაზისა და ადმინისტრაიული შნობის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 28.12.2023 წლის №2402 განკარგულება).

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება

დასრულდა: დავით კაკაბაძის სამხატვრო გალერეაში საგამოფენო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ცენტრალური სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია; ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის №18 ფილიალის რეაბილიტაცია.

დაიწყო 2024 წელს და დასრულებდა 2025 წელს შემდეგი ობიოექტები:
ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26.12.2022 წლის №2435 განკარგულება);

მემორიალური დაფებისა და ძეგლების მოწყობა

პროგრამის ფარგლებში დასრულდა 3 საინფორმაციო და 4 მემორიალური დაფის მოწყობის სამუშაოები.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების პროგრამა

პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:
გაბაშვილის ქუჩის №14-თან ჩამოშლილი მიწის გატანა; „გუმათის“ ადმინისტრაციულ ერთეულში მილკვადრატებით სკვერის შემოღობვა; ვაჟა ფშაველას ქუჩის №8 მოაჯირის მოწყობა; ქეთევან წამებულის ქუჩის მე-2 შესახვევიდან რუას ქუჩაზე გადასასვლელი ხიდის მოაჯირების მოწყობა; ჭონქაძის ქუჩის №50-თან მოაჯირების მოწყობა; გუგუნავას ქუჩის №9-ის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა; „მუხნარის“ ადმინისტრაციულ ერთეულში მე-16 სკოლის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობა; თაბუკაშვილის ქუჩის №183-193 ბინებთან მისასვლელი ბეტონის გზის მოწყობა; თაბუკაშვილის ქუჩის №197-189 ბინებთან, ეკლესიასთან და სკვერთან დამაკავშირებელი ბეტონის გზის მოწყობა; თაბუკაშვილის ქუჩის №215-223 ბინებს შორის დამაკავშირებელი გზის ბეტონის საფარის მოწყობა; სულხან-საბას გამზირის №41-46 ბინებს შორის მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა; სულხან-საბას გამზირის №63-67 ბინებს შორის მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა; სულხან-საბას გამზირის №73-77 ბინებს შორის მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა; ლესელიძის ქუჩაზე №26-ე სკოლის ეზოში მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ლესელიძის ქუჩაზე №26-ე სკოლის ეზოში ტრენაჟორების მოწყობა; ფელიქს კაკაურიძის ქუჩის № 7-9 ბინებთან მისასვლელი ბეტონის გზების მოწყობა; გუმათის შესასვლელში მოსაცდელისა და ჭკვიანი ტაბლოს მოწყობა; ლესელიძის ქუჩის №84 თან მოსაცდელისა და ჭკვიანი ტაბლოს მოწყობა;

ჩხობაძის ქუჩის მე-3 შესახვევში სკვერის მოწყობა; წმ. ლუკას ქუჩის №29-თან სკვერის მოწყობა; ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №2 სა და №4 -ს შორის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ხარებავას ქუჩის №5-თან ახალი მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ბუხაიძის მე-2 მ.რ №24 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; მელიქიშვილის ქუჩის №12 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ჭავჭავაძის გამზირის №57 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ჯავახიშვილის ქუჩის №49 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; წერეთლის ქუჩის მე-4 ჩიხში გზის ბეტონის საფარით მოწყობა; უგრეხელიძეების აღმართის №7 ბინის ეზოს გზის საფარით მოწყობა; წერეთლის ქუჩის №142 ბინასა და საბავშვო ბაღს შორის მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა; კოლუმბია-მისურის ქუჩის №3 ბინის ეზოში ნიაღვარმიმღები ჭის და მილების მოწყობა; აღმაშენებლის გამზირის №22 ბინის წინ გაზონის მოწყობა; აღმაშენებლის გამზირი №7 ბინის წინ გაზონის მოწყობა; კუპრაძის ქუჩის მე-2 შესახვევში მინი მოედნის რეაბილიტაცა; ბალაჩნივაძის ქუჩის №2/2 ბინასთან მინი მოედნის რეაბილიტაცია; წერთელის ქუჩაზე, სახანძროს უკან, მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ახალგაზდობის გამზირის №82 ბინასთან მინი მოედნის რეაბილიტაცია; ახალგაზდობის გამზირის პირველი შესახვევის №29 ბინასთან მინი მოედნის რეაბილიტაცია; ბალანჩივაძის ქუჩის მე- 2 შესახვევის №2 ბინის ეზოში სკვერის მოწყობა; ზ. გამსახურდიას გამზირის №1-3-5 ბინების მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; აღმაშენებლის გამზირის № 125 ბინასთან მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; სკოლა „მერმისის" წინ მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ჯავახიშვილის ქუჩის №73 თან მინი სპორტული მოედნის მოწყობა; ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევის № 4 ბინის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მესერის ამაღლების რეაბილიტაცია; ნიკეას ქუჩის მე-2შესახვევის №3 და №5 ბინებს შორის სპორტული მოედნზე ხელოვნური საფარის მოწყობა; ნიკეას ქუჩის №98 ბინასთან სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; ირაკლი აბაშიძის ქუჩის №10 ბინის მიმდებარედ არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია.

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების ავარიული საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია

დასრულებულია სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია შემდეგ მისამართებზე: დ. ბერძენაძის ქუჩა №26; ვაჟა-ფშაველას ქუჩა №140; შმიდტის ქუჩის მე-3 შესახვევი №14; ევდოშვილის ქუჩის მე-4 ჩიხი №2; პირველი მაისის ქუჩის №18; რუას ქუჩის №37; ჩანჩიბაძის ქუჩის№56; 26 მაისის ქუჩის მე-4 ჩიხი №4; ჭაბუკიანის ქუჩის მე-8 ჩიხი №1; ანტონ კათოლიკოსის ქუჩის №29; პეტრიწის ქუჩის №7; ხაბეიშვილის ქუჩის №23; დეპოს ქუჩის №62

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია

პროექტის ფარგლებში დასრულებულია შემდეგ ობიექტებზე:

გუგუნავას ქუჩის №10ა (1-ლი სად.);სულხან-საბას გამზირის №83 (1-ლი სად.); სულხან-საბას გამზირის №77 (1-ლი სად.); ხარებავას ქუჩის№5' (პრიმი) (1-ლი სად.); ი. ჭავჭავაძის გამზირის №64 (1-ლი სად.); თაბუკაშვილის ქუჩის №219 (მე-4 სად.); თაბუკაშვილის ქუჩის №201 (1-ლი სად.);ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №6 (მე-4 სად.); ნიკეას ქუჩის მე-2 შეს. №6 (მე-2 სად.); დ. აღმაშენებლის გამზირის №127 (მე-3 სად.); ბუხაიძის მე-2 მ/რნ. №14 (მე-3 სად.); ბუხაიძის მე-2 მ/რნ. №14 (მე-2 სად.); ჯავახიშვილის №49დ (1-ლი სად.); თამარ მეფის ქუჩის №70 (1-ლი სად.); ბუხაიძის მე-2 მკრ.№ 24 (1-ლი სად.)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა

დასრულდა 100 ძელსკამის შეძენა-მონტაჟი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისთვის.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია

დასრულებულია წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია შემდეგ ობიექტებზე:

ზ. ჭავჭავაძის ქუჩის№30; ავტომშენებლის ქუჩის №6;ნიკეას ქუჩის 19 №65; ლეჟავას ქუჩის №9; ავტომშენებლის ქუჩის 1-შეს. №8; ნიკეას ქუჩის №19/96; გრ.ხანძთელის ქუჩის №21

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია

დასრულებულია დაზიანებული კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია შემდეგ ობიექტებზე:

ავტომშენებლის ქუჩის №31ა; ხარებავას ქუჩის №9; ხარებავას ქუჩის №8; ი. ჭავჭავაძის ქუჩის №52 (1-ლი სად.); ი. ჭავჭავაძის ქუჩის №52 (მე-2 სად.); ი. ჭავჭავაძის ქუჩის №52 (მე-3 სად.); ი. ჭავჭავაძის გამზირის №9ა; ი. ჭავჭავაძის გამზირის №46; ი. ჭავჭავაძის გამზირის №15; სულხან-საბას გამზირის №91; წმინდა ნინოს ქუჩის №1-3-5; თაბუკაშვილის ქუჩის №215; თაბუკაშვილის ქუჩის №32; თაბუკაშვილის ქუჩის №88; თაბუკაშვილის ქუჩის №203; კაკაურიძის ქუჩის №5 (ს.წ.); კაკაურიძის ქუჩის №5 (კან.); ნიკეას ქუჩის მე-2 შეს. №10; ნიკეას ქუჩის მე-2 შეს. №6; ბუხაიძის მე-2 მკრ. №12; ნიკეას ქუჩის №36; ხარებავას ქუჩის №5ბ; ც. დადიანის ქუჩის №9; ხარებავას ქუჩის №19; თაბუკაშვილის ქუჩის №34 (ჩრდილოეთი); თაბუკაშვილისქუჩის №34 (სამხრეთი).

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია

დასრულდა შემდეგი სადარბაზოების რეაბილიტაცია შემდეგ ობიექტებზე:

ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №10 1-ლი, მე-2, მე-4, მე-5, მე-6 სადარბაზოები ; ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №16 1-ლი,მე-4 სადარბაზოები; ზ. ჭავჭავაძის ქუჩის №48 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 სადარბაზოები; შ. კიკნაძისქუჩის №4 1-ლი სადარბაზო; ლეჟავასქუჩის №11 1-ლი სადარბაზო; აღმაშენებლის გამზირის №12 მე-2, მე-3, მე-4 სადარბაზოები; იერუსალიმის ქუჩის №14 1-ლი, მე-2 სადარბაზოები; დ. აღმაშენებლის გამზირის №1მე-3 სადარბაზო;ჯავახიშვილის ქუჩის №20 1-ლი, მე-2 სადარბაზო; ჩეხოვის ქუჩის №231-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 სადარბაზოები; ავტომშენებლის ქუჩის №32 1-ლი სადარბაზო; ავტომშენებლისქუჩის №39 1-ლი, მე-2, მე-3 სადარბაზოები; ერისთავის ქუჩის №7 1-ლი სადარბაზო; კ. მესხის ქუჩის №20 1-ლი, მე-2 სადარბაზოები; ლეჟავას ქუჩის №13 1-ლი, მე-2 სადარბაზო; მუსხელიშვილის ქუჩის №9 მე-2 სადარბაზოები; ხარებავას ქუჩის №9ბ 1-ლი, მე-2, მე-3 სადარბაზოები; 9 აპრილის ქუჩის

№8 მე-2, მე-3 სადარბაზოები; ბუხაიძის მე-2 მრნ. №24 1-ლი, მე-2, მე-3 სადარბაზოები; სულხან-საბას გამზირის №71 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 სადარბაზოები; ნიკეას ქუჩის №40ბ 1-ლი, სადარბაზო; ნიკეას ქუჩის მე-2 შეს. №19 1-ლი სადარბაზო; ახალგაზრდობის გამზირის მე-5 შესახვევის №15გ 1-ლი, სადარბაზო.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შეძენა-გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება

პროექტის ფარგლებში დასრულდა შემდეგ ობიექტებზე:

კოსტავას ქუჩის მე-3 ჩიხი №18; შოთა რუსთაველის გამზირის №114; ჭიჭიკო იოსელიანის ქუჩის №13ც; ბუკიას ქუჩის №11; თამარ მეფის ქუჩის №81; კ. გამსახურდიას ქუჩის №58; დაიწყო 2024 წელში და დასრულდება 2025 წელს

მშვიდობის ქუჩის №4ა სახურავი; ხუნდაძის ქუჩის №55 სახურავი

გადასახური მასალის შესყიდვა-გადაცემა (დასრულდა)

ჰიდროსაიზოლაციო - 43200 კვ. მ

გოფრირებული თუნუქი - 3800 კვ. მ

ფურცლოვანი თუნუქი - 2200 კვ. მ

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოსატუმბი მოწყობილობების შესყიდვა-გადაცემა

შესყიდულ იქნა 42 ცალი ტუმბო

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება

პროგრამის ფარგლებში დასრულდა:

ფანჩატურის მოწყობა სულხან-საბას გამზირის №71 ბინის წინ;

ფანჩატურის მოწყობა გუგუნავას ქუჩს №13 ბინის წინ.

სტიქიის გადასახური მასალა

დასრულდა მასალი შეძენა:

ჰიდროსაიზოლაციო მასალა - 4930 კვ. მ

გოფრირებული თუნუქი - 500 კვ. მ

ფურცლოვანი თუნუქი - 250 კვ. მ

ხის მასალა - 1,5 კბ. მ

მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში დასრულდა სადარბაზოების რეაბილიტაცია

შემდეგ ობიექტებზე:

ავალიანის ქუჩის №8 1-ლი, მე-2 სადარბაზოები; ავალიანის ქუჩის №12 1-ლი, მე-2 სადარაბზოები; რუსთაველის ქუჩის №114 1-ლი, მე-2 სადარბაზოები; ჯავახიშვილის ქუჩის №16 მე-2, მე-3 სადარბაზოები; ახალგაზრდობის ქუჩის №64 1-ლი, მე-2 სადარბაზოები;ახალგაზრდობის ქუჩის №84 1-ლი სადარბაზო; კუპრაძის ქუჩის №35 1-ლი, მე-2, მე-3 სადარბაზოები; გრ. აბაშიძის ქუჩის №2 მე-2, მე-3, მე-4 სადარბაზოები; გრ. აბაშიძის ქუჩის №4 1-ლი, მე-2, მე-2, მე-4 სადარბაზოები; ახალგაზრდობის გამზირის 1შეს №23 1-ლი, მე-2 სადარბაზოები; ბალანჩივაძის მე- 2შეს №6 1-ლი, მე-2 სადარბაზოები; ლეონიძის ქუჩის №11 1-ლი სადარბაზო; ახალგაზრდობის გამზირის 1შეს №29 1-ლი სადარაბაზო.

პარაპეტების რეაბილიტაცია

მოეწყო პარაპეტები შემდეგ მისამართებზე:

ხუნდაძის ქუჩის №57; ხუნდაძის ქუჩის №61

გადასახური მასალის შესყიდვა-გადაცემა (დასრულდა)

ჰიდროსაიზოლაციო - 25845 კვ. მ

გოფრირებული თუნუქი - 5000 კვ. მ

ფურცლოვანი თუნუქი - 1500 კვ. მ

ხის მასალა - 28,32 კბ. მ

ბიტუმის პრაიმერი - 128 კგ

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

მერის მოადგილე ი. უგულავა: 2025 წელთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ ვინაიდან საქმე ინფრასტრუქტურულ პროექტებს ეხება, უკვე გამოცხადებულია ტენდერი 21 ავტომანქანაზე. ასევე, გამოცხადებული იყო ორი ტენდერი ნაგავშემკრებ კონტეინერების შესაძენად.
ამ ეტაპისთვის უკვე შედგა ხუთი აუქციონი:

- ნაგავშემკრები კონტეინერები დაკონტრაქტებულია,
- ტრაქტორიც დაკონტრაქტდა,
- ასევე ერთი „ფურა“ (მძიმე სატვირთო მანქანა) დაკონტრაქტებულია.

დანარჩენ ტენდერებზე პროცედურები დასრულდება 5-დან 13 მაისის ჩათვლით.

ამ პროცესების შედეგად შესრულდება **7,450,000 ლარის სამუშაოები**, ხოლო ჯერჯერობით დარჩენილია ეკონომია **243,000 ლარის ოდენობით**.

ლიფტების მოწოდებასთან დაკავშირებით უკვე გამოცხადებულია ტენდერი **2,100,000 ლარზე**.
მთავრობის განკარგულებით გამოყოფილია **1,500,000 ლარი**, ხოლო დამატებით მობილიზებულია კიდევ **600,000 ლარი**.

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: მე როგორც ვხვდები ლიფტების რეაბილიტაციის საკითხი ისევ თანამონაწილეობით განხორციელდება. ერთი ლიფტის რეაბილიტაცია დაახლოებთ 70 ათასი ლარის ღირებულეის არის?

მერის მოადგილე ი. უგულავა: დიახ, მაგრამ თანამონაწილეობის წილი შემცირდა, რაც შეეხება რეაბილიტაციის ღირებულებას სართულიანობიდან გამომდინარეობს, მაგ. ყველაზე მაღალი შენობა 14 სართულიანი 119 ათასი ლარის, 10 სართულიანი 75 ათასი და ა. შ.. ვიწყებთ 6 სართულიდან და რეაბილიტაციის შემდგომ მივიღებთ ახალ ლიფტს.

საკრებულის წევრი მ. სიმონიძე: სარეაბილიტაციო რამდენი ლიფტი არის?

მერის მოადგილე ი. უგულავა: 200 მეტი წერილი არის შემოსული რეაბილიტაციის მოთხოვნით.

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: ახალი ლიფტის მოწყობის შემთხვევაში საგარატიო 3 წელი იქნება?

მერის მოადგილე ი. უგულავა: დიახ, რაც შეეხება სახურავების რეაბილიტაცია, რაც იყო პროექტი გამოცხადებული იქნა ტენდერი. სახურავების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, თავდაპირველად გამოყოფილი იყო 1,600,000 ლარი.

ტენდერის შედეგად დაკონტრაქტდა სამუშაოები 1,091,000 ლარის ფარგლებში.

დარჩენილი თანხის ნაწილი გამოყენებული იქნება დამატებითი ტენდერის ფარგლებში, რომელიც უახლოეს მომავალში გამოცხადდება.

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: სახურების რეაბილიტაციის პროგრამაში თანამონაწილეობის წილი შემცირებას გეგმავთ?

მერის მოადგილე ი. უგულავა: დიახ, მოსახლეობის თანამონაწილეობის წილი 5 %-მდე შემცირდება. სკვერებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით: პროექტის შემსრულებელი, მისი მომზადების პროცესში, ვიზუალურ ნაწილს შეათანხმებს მუნიციპალიტეტთან, ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის ეტაპზე კი, ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვა განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან.

აღნიშნულ საკითხზე მიღწეულია შეთანხმება ფინანსთა სამინისტროსთან.

კომისიის წერი ა. კოპალეიშვილი: თუ ადრე პროექტის ხარჯთაღრიცხვასა და მასთან დაკავშირებული ექსპერტიზის დასკვნის თანხას პროექტის შემსრულებელი ანაზღაურებდა, ამ ეტაპზე ამ უკანასკნელის ანაზღაურება ადგილობრივ თვითმმართველობას მოუწევს?

მერის მოადგილე ი. უგულავა: დიახ, ჩვენ გავაკეთებთ ექსპერტიზას და ამითვის გამოყოფილი იქნება ნახევარი მილიონი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე: თუ შეკითხვები არ გვაქს კენჭის ვუყაროთ** მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2024

წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის პირველ კვარტალში დასაფინანსებელი ღონისძიებებისა შესახებ;“

მომხრე-9, მოწიინააღმდეგე-0, თავის შეკავა-0

დადგინეს: ღია კენჭისჭრის თანახმად ცნობად მიიღეს „მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის პირველ კვარტალში დასაფინანსებელი ღონისძიებებისა შესახებ;

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხი ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ მიერ მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეორე საკითხი არის ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების“ მიერ მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ. სიტყვას გადავცემ ბატონ თ. არსენიძეს: „ მოგესალმებით წარმოგიდგენთ ინფორმაციას ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ მიერ 2024 წელს თორმეტი თვის შესრულებული სამუშაოების შესახებ:

2024 წლისათვის ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებში" დაიგეგმა საბიუჯეტო პროგრამის სახსრების გამოყენება ჯამში 8 115 000 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა) და საკუთარი სახსრების გამოყენება 1 500 000,0 ლარის ოდენობით (03.01 - ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა). აქედან ორგანიზაციამ ასიგნების სახით გამოიყენა 8 110 647,82 ლარი და 1 371 011,04 ლარი საკუთარი სახსრებიდან.

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისებს" 2023 წლის საკუთარი სახსრების ბიუჯეტიდან გადმოგყვა 449 698,29 ლარი. დამატებით მიიღო 1 238 286,19 ლარის შემოსავალი (დამატებითი მომსახურება ურნების გამოყენებით - 858 479,42ლ; სხვა დამატებითი მომსახურებიდან - 13 750ლ; ცხოველთა თავშესაფარში გაწეული მომსახურებით - 10 839.0ლ; დეზინფექცია დერატიზაციის მომსახურებიდან - 18 215.29ლ; მაკულატურის რეალიზაციით – 42 308,70ლ და სხვა შემოსავლები - 1608,60ლ).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გატანილ იქნა საყოფაცხოვრებო ნარჩენი დაახლოებით 54 990.80 ტონა. დაიგვა და დასუფთავდა - 866 851 353,0 m^2 ქალაქის ქუჩები და ადმინისტრაციული შენობა. მოირწყა და ჩაირეცხა 325 000 m^2 ქალაქის ქუჩა, ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით ქალაქში რამოდენიმეჯერ თოვლისაგან გაიწმინდა ქუთაისში არსებული ხიდები, ქუჩები, საფეხმავლო ტროტუარები, რისთვისაც გაიხარჯა 6,3 ტონა ტექნიკური მარილი და 32,0 m^3 ქვიშა.

დაიწნეხა ქალაქის ტერიტორიიდან მოპოვებული 484 შეკვრა მუყაო და 4 შეკვრა პლასტმასი, 2023 წლიდან ნაშთის სახით გადმოგვყვა 25 შეკვრა მუყაო და 29 შეკვრა პლასტმასი. აქედან 470 შეკვრა მუყაო გაიყიდა და ორგანიზაციამ დამატებით შემოსავლების სახით მიიღო 42308,7 ლარი.

ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მართვის კომპოსტირების სამსახურს 2023 წლიდან გადმოყვა 132,1 ტონა დაქუცმაცებული ნედლეული და 2,5 ტონა მზა პროდუქტის ნაყარი. 2024 წელს ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე ხეების გადაბელვითა და სხვლა-ფორმირებით და მიღებული მწვანე ნარჩენების დაქუცმაცების შედეგად გადამუშავდა 49,60 ტონა კომპოსტირებული მასალა (დაქუცმაცებული ნედლეული) და მიიღო 27 ტონა მზა პროდუქტის ნაყარი. წლის ბოლოსთვის კომპოსტირებული მასა არის 91,70 ტონას და მზა პროდუქტის ნაყარი 29,50 ტონა.

გადაიბელა და სხვლა-ფორმირება ჩაუტარდა - 537 ძირ ხეს. მოიჭრა გამხმარი და სტიქიით დაზიანებული - 179 ძირი ხე. დაიმორა 237 მ³ საშეშე მერქანი, რითაც დაკმაყოფილდა 158 ბენეფიციარი. სულ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის მოთხოვნით შესრულდა 280 დაგეგმილი სამუშაო.

უმეთვალყურეო ცხოველების თავშესაფარში შემოყვანილ იქნა 1649 ძაღლი, 22 ლეკვი და 43 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. გაჩუქდა 44 ძაღლი, 16 ლეკვი და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ მფლობელებს დაუბრუნდათ 43 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ევთანაზია გაუკეთდა 75 ძაღლს. ბუნებრივად გარდაიცვალა 17 ძაღლი. ოპერაცია ჩაუტარდა 1548 ძაღლს, აიცრა 1587 და ბუნებრივ არეალში გაიშვა 1520 ძაღლი. დამატებით კერძო მოსახლეობიდან შემოყვანილი შინაური ცხოველების მომსახურებიდან ორგანიზაციამ მიიღო 10 839.0 ლარი.

ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ შეიწამლა 53730 გრძ/მ მიწის ფართობი. მღრღნელების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 2254501 მ² ტერიტორია. დეზინსექცირდა სპეციალური რეაგენტებით შეიწამლა და ლიკვიდირებულ იქნა 230 კრაზანის ბუდე და 210090 მ² ფართობი, დეზინფექცირდა 597886 მ², ასევე შეიწამლა 1188 სველი წერტილი, დაიქლორა 199000 ლიტრი წყლის სამარაგე ავზები.

გაიწმინდა - 26 118 გრძივი/მეტრი სანიაღვრე არხი. ამოიწმინდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 2 070 ჭას და ცხაურს. ბალახისაგან გაითიბა - 1 044 370 მ² ფართობი. დამონტაჟდა 23 სანიაღვრე ჭის და ცხაურის თავი. შეკეთდა 19 სანიაღვრე ცხაური. შესრულდა - 582 სხვა დამატებითი სამუშაო. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 საფეხბურთო მოედანს, 3 სკვერს და 25 ატრაქციონს. აღდგა და შეიღება 1 კიბის მოაჯირი. შეკეთდა 9 საბავშვო ტრენაჟორი და დემონტაჟი გაუკეთდა 1 ხიდს. სულ შესრულებული სამუშაოების რაოდენობა არის 1 214.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: დაზიანებულ ატრაქციონებთან დაკავშირებით, რა მექანიზმი მოქმედებს? მხოლოდ ვიღებთ და ვასაწყობებთ, თუ განხორციელდება დაზიანებული ელემენტების ჩანაცვლება/შეცვლა?

ა(ა)იპ „სპეციალური სერვისების“ დირექტორი თ. არსენიძე: ჩვენი კომპენტენცია არის არსებულის მოვლა-პატრონობა, დაზიანებულის შეკეთება.

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: ტოტების გატანასთან დაკავშირებით ავტომობილების სიმცირის გამო მათი დროული გატანა ხშირად ვერ ხერხდება.

ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" დირექტორი თ. არსენიძე: როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარეობს გასხვლის სეზონი, რასაც ემატება საყოფაცხოვრებო ნივთების გატანა/გადატანა. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოზე ორი ჯგუფი გადის, არსებული სამუშაოების მოცულობა კვლავაც მაღალია და შესაბამის ძალისხმევას აჭარბებს.

მერის მოადგილე ი. უგულავა: დასუფთავების პროცესთან დაკავშირებულად აღვნიშნავთ, რომ ავტომობილების სიმცირის პრობლემა უკვე მოგვარებულია — საჭირო ტექნიკა მოგვეწოდება აგვისტოს ბოლოს. რაც შეეხება ნაგავშემკრები ურნების განახლებას, ვვარაუდობთ, რომ იმ ლოკაციებში, სადაც ავტომობილი დღემდე შედიოდა ერთხელ, შეძლებს შესვლას ორჯერ, რაც ნიშნავს მოცულობის გაორმაგებას. გარდა ამისა, დაემატება ახალი ლოკაციები, სადაც ავტომანქანა ადრე ვერ შედიოდა. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ქალაქის დასუფთავებასთან დაკავშირებული პრობლემები მნიშვნელოვნად გამოსწორდება.

კომისიის თავმჯდომარე ბ. მახარაძე: უსაფრთხოებიდან გამომდინარე ჰო არ აღვადგინოთ სიჩქარის შემზღუდველი ბარიერის საკითხი.

მერის მოადგილე ი. უგულავა: აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 6 მილიონიანი ტენდერი გვაქვს გამოცხადებული.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე: თუ შეკითხვები არ გვაქს კენჭის ვუყაროთ** ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" მიერ მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ საკითხს.

მომხრე-9, მოწიინააღმდეგე-0, თავის შეაკავა-0

დადგინეს: ღია კენჭისჭრის თანახმად ცნობად მიიღეს ა(ა)იპ ,,სპეციალური სერვისების" მიერ მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

მოისმინეს :

დღის წესრიგის მესამე საკითხი შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მესამე საკითხი არის შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ, სიტყვას გადავცემ ბატონ ი. ცხვედიანს: „ დავიწყებთ 2024 წლის საქმიანობის მიმოხილვით. აღნიშნულ პერიოდში, ჩვენი მუნიციპალური ტრანსპორტის მიერ **ჯამურად გადაყვანილი იქნა 7,878,743 მგზავრი**.

მგზავრთა გადაყვანიდან მიღებული **შემოსავალი შეადგენს 4,727,000 ლარს**, თუმცა **რეალური (ფაქტობრივი) მიღებული თანხა არის 2,729,000 ლარი**.

დანარჩენი – 1,800,000 ლარზე მეტი თანხა – წარმოადგენს შეღავათებით მოსარგებლე მოწყვლადი ჯგუფების მიერ განხორციელებულ მგზავრობაზე სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებულ კომპენსაციას, რაც განსაზღვრულია ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული შესაბამისი განკარგულებით.“ **დამატებითი შემოსავლები 2024 წელს შეადგინა 77,000 ლარი**, რომელთაგან:

- რეკლამის რეალიზაციიდან მიღებულია **45,000 ლარი**,
- სატრანსპორტო მომსახურებიდან – **32,000 ლარი**.

წლიური შემოსავლებიდან დაახლოებით 3,700,000 ლარი დაიხარჯა ხელფასების გაცემაზე. ტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისთვის გაწეული ხარჯი შეადგენს დაახლოებით 1,250,000 ლარს.

საწვავის წლიური ხარჯი:
წლის განმავლობაში გამოყენებული იქნა **1,212,000 ლიტრი საწვავი**, რაც თანხობრივად შეადგენს **2,814,000 ლარს**.

სხვა ხარჯების განაწილება შემდეგია:

- კომუნალური ხარჯები – **90,000 ლარი**,
- მიკროავტობუსების მომსახურება – **120,000 ლარი**,
- საბურავების შეძენა – **140,000 ლარი**.

ჯამურად, 2024 წლის ხარჯები შეადგენს 4,654,000 ლარს, დამატებით ხელფასის სახით – **3,700,000 ლარი**.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: დამატებით ტრანსპორტის შეძენასთან დაკავშირებით რა ხდება?

მერის მოადგილე ი. უგულავა: ტრანსპორტის შეძენა მოახდენს ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, ჩვენ რაოდენობა მიწოდებული გვაქვს. 300 ავტობუსა და მიკროავტობუსისი შეძენას აპირებს და შესყიდვის შემთხვევაში 60 ერთეულს გადმოგვცემს.

კომისიის წევრი მ. ნიჟარაძე: მაქვს შეკითხვა სატრანსპორტო ტაბლოებთან დაკავშირებით: ხშირად ხდება, რომ ტაბლოზე არ არის მითითებული ავტობუსების მოძრაობის გრაფიკი — რა არის ამის მიზეზი?

შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორი ი. ცხვედიანი: ტაბლოზე დაფიქსირებული ხარვეზები ძირითადად გამოწვეულია ინტერნეტმომსახურების შეფერხებით. შედეგად, ხშირად შეინიშნება აცდენა ფაქტობრივ მოძრაობასა და ტაბლოზე

ასახულ გრაფიკს შორის — კერძოდ, ტრანსპორტი რეალურად უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე ტაბლოზე მითითებული დროით არის ნაჩვენები.

კომისიის წევრი მ.ნიჟარაძე: სატრანსპორტო შეღავათით სარგებლობენ არასრულწლოვნებიც. როგორ ხდება მათი მგზავრობის დაფიქსირება — თავად იყენებენ თუ არა შესაბამის ბარათს გადახდისას?

შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი ი. ცხვედიანი: საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, უფასო მგზავრობით სარგებლობს სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფი, მათ შორის—სკოლის მოსწავლეებიც. თუმცა, არასრულწლოვანებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული პრაქტიკული პრობლემა: როდესაც კონტროლიორი მიუთითებს, რომ აუცილებელია ბარათის დაფიქსირება, ეს იმიტომ ხდება, რომ ყოველი დაფიქსირებული ბარათი აისახება როგორც გადაყვანილი მგზავრი და წარმოადგენს შემოსავლის ერთ-ერთ ანგარიშგასაწევ ერთეულს — მიუხედავად იმისა, რომ კანონით აღნიშნული პირები გათავისუფლებული არიან მგზავრობის საფასურის გადახდისაგან. თუმცა, არასრულწლოვან მგზავრთა ნაწილი უარს აცხადებს ბარათის დაფიქსირებაზე, კონტროლიორის მითითების მიუხედავად. იმის გამო, რომ ისინი არიან არასრულწლოვნები, მოთხოვნის შეუსრულებლობაზე რეაგირება სანქცირება — ფაქტობრივად შეუძლებელია.

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: სასურველია კონტროლიორების საქმიანობის მიმართულებით მექანიზმების გამკაცრება, რათა საკუთარი მოვალეობები უფრო მაღალი პასუხისმგებლობით შეასრულონ. როგორც ვიცით, მუნიციპალურ ტრანსპორტში ფუნქციონირებს ვიდეოთვალის კონტროლი, რაც დამატებითი ინსტრუმენტია კონტროლის გასაძლიერებლად. მნიშვნელოვანია, მგზავრებს წინასწარ ეცნობოს, რომ მიმდინარეობს ვიდეოკონტროლი და დაფიქსირებული ბარათები წარმოადგენს მგზავრობის აღრიცხვის საფუძველს. ამისთვის მიზანშეწონილია ტრანსპორტში გამოკრული იყოს შესაბამისი წარწერა, რაც მოქალაქეებს დააფიქრებს ბარათის დაფიქსირების აუცილებლობასა და გადახდის კონტროლირებადობაზე.

მერის მოადგილე ი. უგულავა: იმისათვის, რომ მუნიციპალურმა ტრანსპორტმა შეძლოს საკუთარი ხარჯების თვითდაფინანსება და მიიღოს შემოსავალი, აუცილებელია მგზავრთა ნაკადის მინიმუმ 25%-ით ზრდა. ერთ-ერთი შესაძლო გამოსავალი, რასაც საერთაშორისო პრაქტიკაც ადასტურებს, არის ქალაქში პარკირების საფასურის გაზრდა, რაც წაახალისებს მოქალაქეებს უფრო აქტიურად გამოიყენონ საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

საკრებულოს წევრი ზ. მამასახლისი: ქალაქის ცენტრალურ ზონაში მიზანშეწონილია პარკინგის საათობრივი ანაზღაურების მექანიზმის დანერგვა.

შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" დირექტორი ი. ცხვედიანი: კონტროლიორთა საქმიანობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამჟამად დასაქმებულია 15 კონტროლიორი. ადრეულ პერიოდში, როდესაც მოქალაქე არ

ახორციელებდა მგზავრობის საფასურის გადახდას, მოთხოვნის შემთხვევაში ის წარადგენდა პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, რის საფუძველზეც რეგისტრირდებოდა დარღვევა და იწერებოდა ჯარიმა. თუმცა, 2024 წლის მეორე ნახევრიდან ჯარიმების რაოდენობამ იკლო, რაც დაკავშირებულია იმ პრაქტიკულ პრობლემასთან, რომ თუ მოქალაქეს თან არ აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, კონტროლიორს არ აქვს შესაძლებლობა ადგილზე მოახდინოს იდენტიფიკაცია და გამოწეროს ჯარიმა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე: თუ შეკითხვები არ გვაქს კენჭის ვუყაროთ** შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ საკითხს

მომხრე-9, მოწიინააღმდეგე-0, თავის შეკავა-0

დადგინეს: ღია კენჭისჭრის თანახმად ცნობად მიიღეს შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მეოთხე საკითხი არის ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ, სიტყვას გადავცემ ბატონ დ.წიტაიშვილს „ ჩვენი ბიუჯეტი შეადგენდა 21 მილიონ 223 ათას ლარს 2024 წელს. მოგეხსენებათ ყველაზე დიდი საბიუჯეტო დაფინანსება აქვს ბაგა-ბაღების გაერთიენებას.

კომისიის წევრი გ. ბასილაძე: სპეციალური საჭიროების მქონე რამდენი ბავშვი გყვათ?

ა(ა)იპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ დირექტორი დ.წიტაიშვილი: სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე აღრიცხვიან. ამ დროისთვის რეგისტრირებულია დაახლოებით 330 ბავშვი.

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: მე-14 და 29 ბაღთან დაკავშირებით რა ხდება?

მერის მოადგილე ი. უგულავა: მიმდინარეობს მე-14 ბაღის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება, თუმცა პროექტის შედეგად ჯგუფების რაოდენობა შემცირდება.

მერის მოადგილე ი. უგულავა: №29 ბაღი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტს, რის გამოც პროექტის მომზადება უნდა განხორციელდეს ისე,

რომ შენობას არ დაეკარგოს ისტორიული ფასადი. თუმცა, აღნიშნული პირობების გათვალისწინებით, რეაბილიტაცია საკმაოდ ძვირადღირებული იქნება.

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: როდის გაიხსნება ავტოქარხნის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული საბავშვო ბაღი? როგორც ვიცი, მოლოდინი მოსახლეობაში საკმაოდ მაღალია.~

ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დ.წიტაიშვილი: როდის გაიხსნება ავტოქარხნის ადმინისტრაციულ ერთეულში ორი ბაღი და ორივე სექტემბრის თვეში უნდა გაიხსნეს.

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: ოთხი ბაღის რეაბილიტაცია, რომ მიმდინარეობს როდის დასრულდება?

ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დ.წიტაიშვილი: ორი დასრულდება ივნისში 27 და 33 ბაღს, რაც შეეხება 26 ბაღს სავარაუდოდ წლის ბოლომდე ვერ დასრულდება.

კომისიის თავმჯდომარე ბ.მახარაძე: კვებასთან დაკავშირებით ცვლილება ჰო არ გვაქთ?

ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" დირექტორი დ.წიტაიშვილი: არა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე: თუ შეკითხვები არ გვაქს კენჭის ვუყაროთ** ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ საკითხს.

მომხრე-9, მოწიინააღმდეგე-0, თავის შეაკავა-0

დადგინეს: ღია კენჭისჭრის თანახმად ცნობად მიიღეს ა(ა)იპ ,,ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" მიერ 2024 წლის გაწეული მუშაობისა და 2025 წლის ბოლომდე დასაფინანსებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ბ.ბ. ბაქარ მახარაძე